

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2014 წლის 4 ივლისის
დადგენილება №1213

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის
ვაკანსიაზე ასარჩევად კანდიდატის
წარდგენა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით ბიოქიმიის სფეროში თვალსაჩინო შედეგების მიღწევისათვის, დარგის განვითარებაში შეტანილი დიდმნიშვნელოვანი წვლილისათვის, ისეთი ღრმამეცნიერული საკითხების კვლევასა და განვითარებაში, როგორცაა: ენერჯისა და აზოტის ცვლაში მონაწილე ფერმენტების ალოსტერული ბუნების აღმოჩენა, აგრარულ კულტურებზე სხვადასხვა ნივთიერებების გავლენა, არაორგანული ნარჩენებისა და დაბინძურებული წყლების გაუვნებლობის ორიგინალური მეთოდების დამუშავება, ცხოველთა და ფრინველთა კვებაში ღვინისა და ჩაის წარმოების ნარჩენების საფუძველზე მიკრობული ცილის მიღება, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნურ დათესვლაში ფერმენტ ჰიალურონიდაზის გამოყენებით ცხოველთა აღწარმოების უნარის გაზრდა, აგრეთვე ზემოაღნიშნული მიღწევების საერთაშორისო დონეზე წარმოჩენისათვის პროფესორი გურამ ტყემალაძე წარდგენილ იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად მეცხოველეობის, საკვებწარმოების, ვეტერინარიისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილებაში შიფრით 010303 – ცხოველთა და ფრინველთა კვება (ბიოქიმიის მიმართულებით).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე